ᲡᲐᲥᲛᲝᲛᲓᲝ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 8 (818) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის აპრილი

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 103 წლისთავი

20 აპრილს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა **ვლადიმერ ილიას ძე ლენინის** დაბადების 103 წლისთავს.

...საღამოს 7 საათია. თეატრის დარბაზში მოვიდნენ სამრეწველო საწარმოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან **ბორის გიგიბერია, პავლე გილაშვილი, ალექსი ინაური, შალვა კიკნაძე, პავლე მელნიკოვი, ზურაბ პატარიძე, ვიქტორია სირაძე, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ძოწენიძე, გივი ჯავახიშვილი, ოთარ ჩერქეზია, თეიმურაზ მოსაშვილი,** პარტიის უხუცესი წევრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების ნოვატორები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **პავლე გილაშვილმა.**

დარბაზში დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა მოხსენებისათვის **ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 103 წლისთავის** შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ვიქტორია სირაძეს.**



ლენინს

მოწოდება ლენინის,
ალი ცეცხლთა ნათების,
დიდი ცხრაას ჩვიდმეტი —
წელი ბარიკადების,
ცეცხლი რევოლუციის,
ქვეყანაზე მთოვარი,
ქვეყნად უდიადესი
არის მონაპოვარი.
მახსოვს კრემლი, აღსავსე
სწორუპოვარ ძალებით,
ფხიზლად იყურებოდა
თვით ლენინის თვალებით.
კაცობრიობისათვის
ახალი გზის ნათება
იყო დიდი ლენინის
ბრძოლა და თავდადება.

გალაკტიონ ტაბიძე

ლენინის დროშით

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი სახელოვანი გზის შესახებ.

მომხსენებელი ლაპარაკობს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უკვდავებისა და დიდი გამარჯვების, ლენინის მიერ შექმნილი პარტიის სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც წელს თავისი არსებობის 70 წლისთავს აღნიშნავს, ხალხთა ლენინური მეგობრობის ნამდვილი ტრიუმფის შესახებ, რომელიც მკაფიოდ აისახა სსრ კავშირის 50 წლისთავის დღესასწაულით.

ლენინის სახელს უკავშირდება სოციალისტური საქართველოს ყველა წარმატება. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების მეოხებით, საქართველო მტკიცედ მიდის სოციალისტური განვითარების გზით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გახდა თანამედროვე ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და დიდად განვითარებული კულტურის ქვეყანა.

მთელი განვლილი წლები აღინიშნა ხალხის შრომითი წარმატებებით, მაგრამ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის შრომითი აღმავლობა უფრო მკაფიო და საგრძნობია. ამას ხელს უწყობს გადამწყვეტი ბრძოლა იმისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ ჩვენს ცხოვრებაში არსებულ ყველა ნაკლოვანებას, ხელი შევუწყოთ ხალხის შრომით აღმავლობას და შემოქმედებით ენთუზიაზმს.

შესამჩნევად ამაღლდა მშრომელთა პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტივობა. რესპუბლიკის მრეწველობამ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 40,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. მრეწველობაში 7,5 პროცენტით გადიდდა შრომის ნაყოფიერება. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

საჭიროა, თქვა მომხსენებელმა, ლენინურად დავუჭიროთ მხარი ამ აღმავლობას, წავახალისოთ ენთუზიაზმი შრომითს შეჯიბრებაში, პირნათლად შევასრულოთ სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებანი.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მომხსენებელმა გამარჯვება უსურვა ლენინის მიერ შექმნილ და გამოწრთობილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ ავანგარდს, საბჭოთა ხალხის ორგანიზატორსა და ბელადს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

საზეიმო სხდომა დახურულად გამოცხადდა. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნებს.

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვიქტორია სირაძის თავმჯდომარეობით გაიმართა სხდომა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიისა, რომელშიც შედიან გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები, კომპოზიტორები, მხატვრები, საზოგადო მოღვაწეები.

კომისიამ განიხილა და დაამტკიცა იმ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც განხორციელდება ამა წლის აპრილიდან სექტემბრამდე, როცა თბილისში გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის გაფართოებული საიუბილეო პლენუმი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

ზაჰარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საიუბილეო კომისია გამართავს საზეიმო სხდომას.

იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაატარებენ გაერთიანებულ საიუბილეო სამეცნიერო სესიას.

ჭყვიშში, პოეტის სამშობლოში, გაიხსნება სახლ-მუზეუმი; მთაწმინდაზე ჩატარდება თბილისის მშრომელთა მიტინგი; რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მოეწყობა სალამოები; დაისტამბება პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული; გამოვა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მე-10 და მე-11 ტომები, გამოსაცემად მომზადდება მე-12 ტომი; რუსულ ენაზე გამოვა პოეტის რჩეული ლექსების ორტომეული; რუსულ ენაზე გამოსაცემად მომზადდება ორტომეული; დაიბეჭდება ქართველი მწერლებისა და მეცნიერების მოგონებები.

ეკრანზე გამოვა გალაკტიონისადმი მიძღვნილი კინოფილმები.

კომპოზიტორები შეჰქმნიან ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს მისი ლექსების მიხედვით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდება გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული კაბინეტი და დაწესდება მისი სახელობის სტიპენდია.

განზრახულია გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების დაარსება.

საიუბილეოდ კონცერტები მოეწყობა თბილისსა და მოსკოვში.

საბჭოთა კავშირგამომცემლობა გამოუშვებს მისი სახელობის მარკებს.

საქართველოს ტელეხედვა და რადიომაუწყებლობა, ჟურნალ-გაზეთები გააშუქებენ გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზათა სამინისტრო სპეციალურად გაუყვანს საავტომობილო გზას სოფ. შუამთიდან სოფ. ჭყვიშამდე.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მეცამეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა მთავრდება 1973 წლის 13 ივნისს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1973 წლის 17 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაბაძე

თბილისი, **1973 წლის 11 აპრილი.**

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ქალაქ თბილისში საქარხნო რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე შეიქმნას ახალი რაიონი და ეწოდოს მას საქარხნო რაიონი;

2. დადგინდეს საქარხნო რაიონის ტერიტორია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საზღვრების ფარგლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაბაძე

თბილისი, **1973 წლის 10 აპრილი.**

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
რაიონული დაქვემდებარების ქალაქ გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და გაგრის რაიონის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

1. რაიონული დაქვემდებარების ქალაქ გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ;

2. გაგრის რაიონის გაუქმებისა და მასში შემავალი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების გაგრის საქალაქო საბჭოსადმი ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ;

3. ადგილობრივი საბჭოების მორიგ არჩევნებამდე გაგრის რაიონული და გაგრის საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოს დეპუტატთა რწმუნების შენარჩუნების შესახებ გაგრის საქალაქო (რესპუბლიკურ დაქვემდებარების) საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაბაძე

თბილისი, **1973 წლის 5 აპრილი.**

გმირებს არ ივიწყებენ

სამამულო ომის დღეებში მრავალმა მამულიშვილმა საბრძოლო გმირობით უკვდავყო თავისი სახელი. მათი სახე მარად ცოცხლობს მადლიერი ხალხის ხსოვნაში. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ფეოდოსიის საქალაქო გაზეთ „პობედაში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „ალექსი გიგოლაშვილის სახელობის ქუჩა ბლიუნიში“.

— ალექსი გიგოლაშვილი, — ვკითხულობთ გაზეთში, — მზიური საქართველოს შვილი იყო, თელავის რაიონის სოფელ ახატელიდან. ომამდე მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების ყარაჯალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. მტკიცე კომუნისტი, სამშობლოს განსაცდელის ჟამს ერთ-ერთი პირველი ჩადგა მის დამცველთა რიგებში.

1942 წელს ფეოდოსიის მისადგომებთან უთანასწორო ბრძოლაში ალექსი გიგოლაშვილი თანამებრძოლებთან ერთად მამაცთა სიკვდილით დაეცა. მისი ნეშტი სოფელ ბლიუნის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს.

ფეოდოსიელები არ ივიწყებენ ქართველ ვაჟკაცს. ქალაქის საბრძოლო დიდების მუზეუმში ფართოდ არის წარმოდგენილი ათმეთაური ალექსი გიგოლაშვილის გმირობა. ამას წინათ სოფელ ბლიუნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას ალექსი გიგოლაშვილის სახელი მიაკუთვნეს.

მეცნიერული თანამშრომლობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილება საინტერესოდ წარმართავს ქართული უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან. რამდენიმე წელიწადია სამეცნიერო ურთიერთობა აქვთ დამყარებული თბილისის, იენისა და ლოძის უნივერსიტეტებს. უკვე შემუშავებულია პროექტი ბრატისლავის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. მალე კავშირი დამყარდება ინდოეთის მადრასის უნივერსიტეტთან.

თბილისის უნივერსიტეტის სახელზე უამრავი მოწვევა მოდის საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ჩვენთან კი სტაჟირებას გადის ბრავალი უცხოელი ასპირანტი. ხშირად ჩამოდიან პროფესორ-მასწავლებლები ლექციების წასაკითხად, გამოცდილების გასაზიარებლად. ახლო მომავალში ვიმარში მოეწყობა შექსპიროლოგთა კონფერენცია, სადაც მიწვეულია ინგლისური ენის კათედრის გამგე, დოცენტი ნიკო ყიასაშვილი. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე და მეხუთე კურსის სტუდენტები თარჯიმნებად გაეშგზავრებიან არაბეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და ირანში.

ესეთი მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა ქართველ და საზღვარგარეთელ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამეცნიერო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, რაც ხალხთა შორის მეგობრობის უტყუარი საწინდარია.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 10 აპრილის ბრძანებულებით გაუქმდა დაბა სამგორი და სოფელი ალექსეევკა ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

გაუქმდა აგრეთვე სამგორის სადაბო საბჭო და მასში შემავალი სოფლების — დიდი ლილოს, პატარა ლილოს და ვარკეთილის ბაზაზე შეიქმნა **დიდი ლილოს** სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ **დიდ ლილოში.**

პერსონალური გამოფენა

ოთარ ჩხარტიშვილმა 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისეულმა სადიპლომო ნამუშევარმა „ჩემი კერა“ დიდი მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ ნიჭიერი მხატვარი ბევრ რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენაში მონაწილეობდა. პერსონალური გამოფენა კი სულ ცოტა ხნის წინათ ჰქონდა მოსკოვში, რსფსრ სახელოვნო დარბაზში. იქ წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრის 60 ფერწერული და 20 გრაფიკული ნამუშევარი.

საინტერესოა ხელოვნებათმცოდნე ქალის ე. სემიონოვას ნათქვამი ოთარ ჩხარტიშვილის შემოქმედებით ზრდაზე:


— ჯერ კიდევ 1960 წელს თბილისში მოყვარულთა გამოფენაზე ვნახე ოთარ ჩხარტიშვილის ფერწერული ნამუშევრები. შემდეგში საკავშირო გამოფენებზე რამდენჯერმე შევხვდი მას. იგრძნობოდა, რომ იგი სულ უფრო იზრდებოდა, იხვეწებოდა, მისი ბოლო ნამუშევრები მეტყველებენ აღქმისა და გამომსახველობის საინტერესო გრადაციას.

გაზაფხულის სტუმრები

მოვიდა გაზაფხული და ტურისტებიც მრავლად მოიყოლა. ეს განსაკუთრებით აფხაზეთში იგრძნობა. საქართველოს ამ ლამაზი კუთხის თვალწარმტაცი ბუნება უამრავ დამსვენებელსა თუ ტურისტს იზიდავს. ზღვით, ჰაერითა თუ ხმელეთით — ყველა სახეობის ტრანსპორტით სოხუმში უწყვეტ ნაკადად მოედინებიან საბჭოთა თუ უცხოელი ტურისტები. აფხაზეთის ტურისტულმა ბაზებმა 1973 წელი საუკეთესო მომსახურების დროდ გამოაცხადეს. ქალაქში დასასვენებლად ჩამოსულთათვის მოეწყობა ექსკურსიები საქართველოს ზღვისპირეთის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ხოლო სოხუმში მცხოვრებთათვის გამოიყოფა ოთხი ტურისტული მატარებელი. ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე გემითა და ავტობუსებით. გაიმართება ახალგაზრდა ტურისტთა შეკრებები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასობრივ ტურიზმს. ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ ხელმძღვანელები თავიანთი საწარმოს მუშებისათვის ავადმარაში ხსნიან 800-ადგილიან ბაზას. აქვე ამგვარივე სახის ბაზას ხსნის აგრეთვე სოხუმის ტურისტული კლუბი. ტურიზმის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ ტურისტთა კეთილი მომსახურებისათვის.

თბილისის „მელოდია“



ახალი გრამჩამწერი სტუდიის საერთო ხედი.

თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირზე, თანამედროვე სტილით ნაგებ შენობაში გაიხსნა გრამფირფიტების სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიას“ გრამჩამწერი ახალი სტუდია. აღსანიშნავია, რომ აქ პირველად აითვისეს კომპაქტ-კასეტების წარმოება მცირეგაბარიტიანი საკასეტო მაგნიტოფონებისათვის, რომლებიც სიმარტივისა და საუცხოო აკუსტიკური ხარისხის გამო სულ უფრო პოპულარული ხდება მოსახლეობაში. სტუდიამ უკვე გამოუშვა კომპაქტ-კასეტები — „ძველი თბილისის სურათები“, „ორერა“, „ქართული ხალხური სიმღერები“, „მღერის ედიტ პიეხა“, კვარტეტი „გაია“, „მღერის მუსლიმ მაგომაევი“ და სხვა.

წელიწადის დამლევამდე გათვალისწინებულია აამოქმედონ ქვეყანაში ორი უდიდესი გრამჩამწერი სტუდია — დიდი, 280 კვადრატულმეტრიანი საკონცერტო და მცირე — კამერული სტუდიები. ისინი აღიჭურვებიან უახლესი საბჭოური და იმპორტული აპარატებით.

— ახალი სტუდია, — გვითხრა სტუდიის დირექტორმა კონსტანტინე კინწურაშვილმა,—დააპროექტა მოსკოვის კინოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივმა. თავისი არსებობის თითქმის 15 წლის მანძილზე ჩვენმა სტუდიამ — ფირმის ერთ-ერთმა წამყვანმა სტუდიამ — ბევრი რამ გააკეთა არა მარტო საქართველოს, არამედ მოძმე რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყალმუხეთის ხალხების მუსიკალური და ლიტერატურულ-დრამატული მემკვიდრეობის პროპაგანდისათვის, პოპულარიზაციისა და დაცვისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანია ზაჭარია ფალიაშვილის „დაისისა“ და „აბესალომ და ეთერის“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის, აზერბაიჯანული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის ჰუსეინ ჯავიდოვის ოპერების „ლეილ-მეჯნუნიანის“ და „არშინ მალ-ალანის“, ვანო გოკიელის საბავშვო ოპერის „წითელქუდას“, სულხან ცინცაძის ბალეტის „დემონის“ ჩანაწერები და სხვა.


სტუდიამ გამოუშვა ქართული ხალხური სიმღერების ანთოლოგია, საუკეთესო აზერბაიჯანელი ამუღების, სომეხი ხალხური მომღერლებისა და დამკვრელების, ყაბარდო-ბალყარეთის, აფხაზეთის, აჭარის, ჩრდილოეთ ოსეთის, დაღესტნის, ადიღესა და ყალმუხეთის მთქმელებისა და მომღერლების ჩანაწერები.

თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, საბჭოთა კავშირში პირველად სტუდიამ დაიწყო ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოთა დამატებების — ფირფიტების წარმოება. წლევანდელი წლის ნოემბერში ამ ფირფიტებს უჩვენებენ მოსკოვში მსოფლიო გამოფენაზე „სასკოლო მოწყობილობა-78“.

როგერტ მეგრელიშვილი

დიდი მეცნიერი

საჯიქაძული მამულიშვილი



საბჭოთა საქართველოში შეიქმნა სხვადასხვა სამეცნიერო სკოლა და მიმართულება, აღიარებული და ფართოდ ცნობილი როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს თბილისის საენათმეცნიერო სკოლას, რომლის ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი რგოლია კავკასიოლოგია, მოძღვრება იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ.

ქართული საბჭოთა კავკასიოლოგიის საფუძვლის ჩამყრელი და მისი განვითარების წარმმართველია **არნოლდ ჩიქობავა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მისი მეცნიერული ღვაწლი საყოველთაოდ დაფასებულია. არნოლდ ჩიქობავას 1951 წ. მოსკოვის უნივერსიტეტმა მიანიჭა ლომონოსოვის სახელობის პრემია, 1960 წ. მიენიჭა ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის სამეცნიერო წოდება, 1968 წ. აირჩიეს დიდი ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების წევრად.

ამ დღეებში ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ აღნიშნა არნოლდ ჩიქობავას მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავი. ჩვენც გვწადია „სამშობლოს“ მკითხველებს მოკლედ მოვუთხროთ ამ გამოჩენილი ენათმეცნიერის შესახებ.

არნოლდ ჩიქობავამ თბილისის უნივერსიტეტში გაიარა მეცნიერული წრთობა და მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრემ და ქართველ ენათმეცნიერთა მეთაურმა აკაკი შანიძემ იგი წარადგინა „პროფესორობისათვის მოსამზადებლად“, ახალგაზრდა მკვლევარი გატაცებით ჩაება მეცნიერული ცხოვრების ფერხულში. ქართულ ენაში იგი იწაფებოდა ა. შანიძესთან, ზოგად ენათმეცნიერებაში — გ. ახვლედიანთან, ფსიქოლოგიაში — დ. უზნაძესთან.

არნოლდ ჩიქობავას ნაშრომები გამოირჩევიან პრობლემატიკის მრავალმხრივობითა და არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით, იდეების სიახლითა და შემუშავებული კონცეფციის მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრულობით.

არნოლდ ჩიქობავა არ არის მარტოოდენ კონკრეტული ენების მკვლევარი, მის დიდ ინტერესს აღვივებს ენის თეორიის ასპექტებიც, და აქედან გასაგებია, რომ მან კვალი დაამჩნია არა მხოლოდ ქართველური და მთის კავკასიური ენების კვლევას, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკაშიც ახალი სინათლე შეიტანა. არნოლდ ჩიქობავა ვერ ეგუება შიშველ ემპირიზმს და თვითონ იძლევა ნიმუშს კონკრეტული ენობრივი მოვლენების ზოგადთეორიულ პლანში გააზრებისას და პრინციპული თვალსაზრისით დაფასებისას.

ერთ-ერთ პირველ ნაშრომშივე (1923 წ.) არნოლდ ჩიქობავამ ჩამოაყალიბა კვლევის ზოგადი მიმართულება და ნათლად განმარტა საკვლევი ობიექტის — ქართული და კავკასიური ენების — მნიშვნელობა ზოგადი ენათმეცნიერებისათვის. ინდოევროპული ენათმეცნიერების მყარი მეთოდების მიღება, — ამბობდა ახალგაზრდა მეცნიერი, — სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს ინდოევროპეისტიკის ცნებათა უკრიტიკოდ გადმონერგვას ჩვენი ენების კვლევაძიებაში; ცნება სინამდვილის სქემაა. განსხვავებული ენობრივი სინამდვილე განსხვავებულ შინაარსს აძლევს ტრადიციულად დამკვიდრებულ ზოგადლინგვისტურ ცნებებს. რაკი კავკასიური ენების აგებულება არაერთ მნიშვნელოვან პუნქტში განსხვავდება ინდოევროპულ ენათაგან, ეს გვავალებს გავითავისუფლოთ თავი არსებული ტერმინოლოგიური ტრადიციებისაგან და სინამდვილის შესაფერისი ცნებებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების ჩამოყალიბებას არ დავერიდოთ, — ასეთი იყო ამოსავალი დებულებები, რაც შემდგომი ხანის პოზიტიურმა ძიებებმა საფუძვლიანად დაადასტურა და ითელყო.

დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე შემდეგი გარემოება.

არნოლდ ჩიქობავამ 30-იან წლებში აღძრა და ორიგინალურად, ამასთანავე — უფრო თანმიმდევრულად, გადაწყვიტა ზოგადენათმეცნიერული მეთოდოლოგიური პრობლემა ენის რაობისა და კვლევის მეთოდის შესახებ, ვინემ დასავლეთის ენათმეცნიერების ბევრმა დღეს ცნობილმა სკოლამ. როდესაც ავტორის მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა“ გამოვიდა (1928 წ.), პრაღის სტრუქტურალიზმი ის-იყო ყალიბდებოდა, ხოლო კოპენჰაგენისა და ამერიკის, აგრეთვე ლონდონის სტრუქტურალიზმი სულაც არ არსებობდა. აქედან გასაგებია საბჭოთა მეცნიერის მიერ ადრე მიღებული არსებითი მნიშვნელობის შედეგების ღირებულება მეცნიერების ისტორიისათვის.

ენათმეცნიერების თეორიულ პრობლემატიკას არნოლდ ჩიქობავამ შემდგომში მთელი რიგი ნაშრომები მიუძღვნა. აქ დავასახელებთ მის წიგნებს: „ზოგადი ენათმეცნიერება“ (1935), „ზოგადი ენათმეცნიერება. ძირითადი პრობლემები“ (1945), „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა“ (მოსკოვი, 1959) და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართოდ გაიშალა ქართველური ენების მეცნიერული შესწავლა. ა. შანიძის ფუძემდებლურმა გამოკვლევებმა იმთავითვე განსაზღვრეს ამ დარგში ინტენსიური კვლევის პერსპექტივა და გზა გაუკაფეს მკვლევართა შემდგომ თაობებს.

ახლებურად არის გაშუქებული ქართული ენის სინტაქსური და მორფოლოგიური აგებულება არნოლდ ჩიქობავას ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში, რომელიც ეხება მარტივი წინადადების მექანიზმს ქართულში. ამას მოჰყვა გამოკვლევები, რომლებშიც გადაწყვეტილია ქართული ბრუნებისა და ზმნის კატეგორიების ცალკეული საკითხები. არნოლდ ჩიქობავას კალამს ეკუთვნის დიალექტოლოგიური ნაშრომები, ამსახველი ქართული ენის ფერეიდნულ, კახურ და მთიულურ განშტოებათა თავისებურებებისა.

ფრიად საყურადღებოა არნოლდ ჩიქობავას ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომები ქართული ენის ისტორიის, ქართველურ ენათა შედარებითი კვლევის დარგში. წიგნში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942 წ.) გამოკვლეულია ფუძის აგებულების მექანიკა საკუთრივ ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. გამოყოფილია ძირს შეხორცებული თავსართები, რომლებიც ოდესღაც დეტერმინანტებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, და ძირს შეხორცებული თავსართები, რომლებიც ისტორიულად კლას-კატეგორიებს აღნიშნავდნენ, მეორე მხრივ. მანვე დაგვიწერა ჭანურის გრამატიკული მიმოხილვა და ქართველურ ენათა პირველი შედარებითი ლექსიკონი („ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, 1938 წ.)

ჯერ კიდევ 1924 წელს არნოლდ ჩიქობავამ „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულის“ წინასიტყვაობაში დააყენა საკითხი კავკასიის ენათა შესწავლის აუცილებლობისა და ამ შესწავლის მიზნებისა და მეთოდების შესახებ.

არნოლდ ჩიქობავას მოთაფვეობით შექმნილი მძლავრი კავკასიოლოგიური მიმართულება ქართული საბჭოთა მეცნიერების მონაპოვარია და მისი აღორძინების უტყუარი დასტური. არნოლდ ჩიქობავამ გზა გაუწყალდა კავკასიური ენების მკვლევართ და ამ ენათა შედარებით-ისტორიული ძიებები მკვიდრ ნიადაგზე დააფუძნა.

არნოლდ ჩიქობავას შრომების საფუძველზე ჩამოინაკვთა ცნება „იბერიულ-კავკასიური ენებისა“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის უფლებებით აღიჭურვა. როგორც არ უნდა გაიგონ კავკასიური ენები — „ისტორიულ-გენეალოგიური ცნება“ თუ „გეოგრაფიული ცნება“ (ვგულისხმობ ზოგი მეცნიერის ვარაუდს), უდავო ფაქტია, რომ ქართულ საბჭოთა ენათმეცნიერულ სკოლას — არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით — დიდი მიღწევები აქვს მოპოვებული ამ ენების მეცნიერული შესწავლის დარგში და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენის ზოგად პრობლემატიკაში.

1923 წელს არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა და მთის კავკასიურ ენათა განყოფილება ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში; უნივერსიტეტშივე შეიქმნა კავკასიურ ენათა განყოფილება (შემდგომ გაიხსნა რუსული სექტორიც ადიღელი, ჩაჩანი, ინგუში, დაღესტნელი სტუდენტების მოსამზადებლად). კავკასიური ენების კათედრის სამეცნიერო თვალსაზრისს იმთავითვე განსაზღვრავდა ამოცანა: მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ისტორიულ-გენეზისური და ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით, სათანადო სამეცნიერო დისციპლინათა საუნივერსიტეტო კურსების ორგანიზაცია და საჭირო კადრების მომზადება.

ამ დარგში დაიწერა რამდენიმე ასეული შრომა, მათ შორის ათეულობით მონოგრაფია; მონოგრაფიულად იკვლევა აფხაზურ-ადიღური, ნახური (ჩაჩნურ-ინგუშური) და დაღესტნის ჯგუფების ენათა ფონეტიკური სისტემა, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა. ცალკეული ნაშრომები მიეძღვნა ჯგუფებში შემავალი ენობრივი ერთეულების ურთიერთმიმართების საკითხებს, მათ შორის ფონეტიკური შესატყვისობების დადგენას და სხვ. არნოლდ ჩიქობავას დასკვნით, „რაც უფრო ღრმად ვიხედებით ამ ენათა წარსულში, მით უფრო მეტი საერთო ვლინდება ამ ენათა ბგერით სისტემაში და, რაც ამ შემთხვევაში არსებითია, მორფოლოგიურ სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ინვენტარში“; „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან)“. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა უშუალოდ თუ შუალობით იმ დებულებას ადასტურებს, რომ ძველად მთის იბერიულ-კავკასიური ენები არსებით მომენტებში გაცილებით უფრო ახლოს იყვნენ ქართველურ ენებთან, ვიდრე ახლა არიან; სიახლოვე ძველი ვითარების დამახასიათებელია, სხვაობის ზრდა მეორეული მოვლენაა. არნოლდ ჩიქობავა იცავს ძველი სამყაროს ცივილიზებული ხალხების ენებთან ქართული ენის ნათესაობის იდეას. გავიხსენოთ ჩვენი დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალდურ, ხეთურ და სუმერულთანაც ნათესაობის საკითხებით... ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნებული უმთავრესად უცხოეთში... ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს“.

არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით დაიწყო და მისივე რედაქტორობით გამოიცა ქართული ლექსიკოგრაფიის დიდი ძეგლი — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 8 ტომად. მთავარი რედაქტორის სიტყვით, „ლექსიკონი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართული სამწერლობო ენის ინტენსიური ზრდა-განვითარების პროცესს. განმარტებითი ლექსიკონი უკუფენს ენისა და — ენის მეშვეობით — კულტურის მდგომარეობას. ამდენად იგი ეპოქის დოკუმენტია“.

გამოჩენილი ნორვეგიელი ენათმეცნიერი პროფ. ჰანს ფოგტი (თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი) წერდა: „ეს ლექსიკონი დაიჭერს ღირსეულ ადგილს ჩვენი დროის ერთეხოვან ლექსიკონებს შორის: ეს არის ძეგლი, აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და განახორციელა იგი“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მაჩვენებელია მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის სიგრძე-განისა და მანიშნებელი ქართული ენის ამოუწურავი სიტყვობრივი საგანძურისა.

შოთა ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რომ ეცოცხლა, 80 წლის

დიდი ცხოვრების სათავე

ვინ არ მოხიბლულა მაცხის ქუთაისით, მის გზებსა და ბილიკებზე დარხეული „ციცინათელასა“ და „სულიკოს“ გულშიჩამწვდომი ჰანგებით... პირველად აქ ახმიანდა ჰაინეს — „ტურფავ, ტურფავ“, უცხო სტუმრები იხიბლებოდნენ ქუთაისელი ქალების ნატიფი სილამაზით. ახალგაზრდებს თავბრუს ახვევდა საშა ჩიქოვანის „უზუნდარა“... ქუთაისში ცხოვრობდა სილამაზით განთქმული მერი შერვაშიძე... აქ დაიწერა გალაკტიონის „მერი“ და „მე და ღამე“.

...იწყებოდა გალაკტიონი, იწყებოდა მისი დიდი შემოქმედება, რომელსაც ბეჭდად ესვა „იასამნის ტატი“, პოეზიის უტყუარი სიმბოლო.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, თუ რით სუნთქავდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე გალაკტიონი... მის სასთუმალთან დაედოთ ბინა მე-19 საუკუნის ქართული, რუსული და ევროპული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს, დანტეს, შექსპირს, სერვანტესს, გოეთეს... გულის სიმებზე ეწერა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი სტრიქონები.

გალაკტიონის ცხოვრების დასაწყისი, მისი ჭაბუკობისა და ყრმობის პერიოდი მტკიცედ უკავშირდება იმდროინდელ ეროვნული კულტურის პარნასს — ქუთაისს.

გალაკტიონის პირველი წიგნიც ქუთაისში დაიბეჭდა...

...პარიზიდან დაბრუნებული გალაკტიონი ქუთაისში ჩამოვიდა და სწორედ მაშინ დაწერა თავისი ცნობილი ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში“, რომელიც პირველად ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა.

...დავით კასრაძე პირველად რომ ჩამოსულა ქუთაისში, მას უკვე მოვლილი ჰქონია მრავალი ქვეყანა. მაშინვე გალაკტიონი მოუძებნია, ერთად დაუთვალიერებიათ ქუთაისის ძველი სანახები და ახალი უბნები, რომლებსაც დღესაც შენარჩუნებული აქვთ იმდროინდელი სახელები — მწვანე ყვავილა და საფიჩხია, კახიანური და ბალახვანი, თეთრამიწა და ბაკისუბანი... ეს ის დროა, როცა ქუთაისი მიყრუებულ, პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა. საფიჩხიასა და საღორიის მიდამოებში გაუთავებელი ღრეობა იყო, ბალახვანში განუწყვეტლივ ისმოდა ერეშია ქუთათელაძის განთქმული არღნის ხმა. თეთრი ხიდიდან და რესტორან „იალტიდან“ სხვადასხვა ილეთით ხტებოდნენ ბიჭები. სამრეკლოს, წყალტუბოს, ხონის მიმართულებით მიქროდნენ არღნიანი ეტლები.

გალაკტიონმა უთხრა დავითს.

— ამაზე ლამაზი რა არის ქვეყნად, როგორ განვიცდი ეფემერულ ტკბობას, აი ეს ყვავილებია ჩემთვის ყველაფერი. ქუთაისური ვარდებია ჩემი პირველი დამთრობელი, ჩემი უმაღლესი სიამოვნება, ნეტარება და პოეზია...

...შემდეგ ისინი დაიძრნენ გელათისაკენ, აღტაცებით ეგებებოდნენ ქართული ლექსის ახალგაზრდა მეუფეს.

ეტლი გასცდა ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელს“, ქალაქის თეატრის წინ გამოკრული იყო ფირნიში — კოტე მარჯანიშვილის თეატრი.

— ეს არის ქუთაისი — პატარა პარიზი, — იღიმება გალაკტიონი. — კი, ეს არის ქუთაისის ბაღის კიდე. პარიზში ხომ გინახავს ელისეს მინდვრები ან ლუქსემბურგის ბაღი? მარჯვნივ მიიხედე, ეს არის მთავარანგელოსის ეკლესია „ნოტრ დამ დე პარი“ — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.—ღიმილმორეული გალაკტიონი განაგრძობს: — აი ეს არის ჩილინგარაშვილების საშაქარლამოები, რომელთა ნამცხვარი თავისი ხარისხით აღემატება კაფე „პასკალისას“. ეს კი ლაღიძის წყლების მაღაზიებია, აქ, ხუმრობის გარეშე რომ ვთქვათ, პარიზელებსაც არ ექნებათ ისეთი საუკეთესო სურნელოვანი ლიმონათები, როგორსაც ჩვენ ვამზადებთ.

გელათის კარიბჭესთან ვეებერთელა ქვა გამოიკვეთა. — ეს ქვა თვითონ დავითმა ამოიტანა საკუთარი მხრებით. პარიზში ნაპოლეონის ბრძანებით, ძველი მემფისიდან ორი წყვილი ცხენით გადაიტანეს მთლიანი ქვის სვეტი. ეს ქვა იმ ობელისკზე მეტია.

გელათის კარი ღია დახვდათ, წინ შემოეგებათ ბერი მათე კერესელიძე, რომელსაც მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი, თან დაჰყვებოდა ფილიმონ ქორიძე და ნოტებზე გადაჰქონდათ საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, „შენ გიგალობ“, „ღირს არს ჰეშმარიტად“ და მრავალი სხვა.

ლაპარაკობენ გალაკტიონზე: ჩვენი მწერლების ახალი ღმერთია, თანამედროვე ჭაბუკებში არა ჰყავს ტოლიო.

— როგორ თუ ტოლი? — საუბარში ერევა დავითი.

— ამას თვითონ ამბობს გალაკტიონი თავის ერთ-ერთ ლექსში „შემოქმედება“. „ვარსკვლავთა შორის, სხვათა ტაძარში, არ მყავდა ტოლი“.

გალაკტიონი მოკრძალებით წითლდება. წუთით ეთიშება მათ, ხარბად შეჰყურებს გელათის გუმბათს, მოზაიკურ მხატვრობას, უნიკალურ სიდიადეს.

— მოდი, ვიმღეროთ, ჩემო დავით!

— რა ვიმღეროთ?

— „შენ ხარ ვენახი“.

მათე აწრიალდა. — გაგვიძნელდება... სასულიერო არ არის, საეროა...

შემთხვევითი არ იყო, რომ მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე სწორედ ამ ქალაქში, აკაკის ქალაქში გაისმა გალაკტიონის ჩანგის უღერა, რომელმაც საუკუნის უდიდესი ქართველი მგოსნის სახელი მოუბრუნა მას...



ჰაბუკი გალაკტიონი (ქვეყნდება პირველად)

აქ დაფრთიანდა იგი, როგორც პოეტი, აქ შექმნა უკვდავი შედევრები, აქ გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი და აქვე ეზიარა პირქელ სიყვარულს, რიონის ტალღამ მგზნებარე სული შთაბერა უმწიფარს და მისი ნაპირიდან მსოფლიოს გადასწვდა გალაკტიონისეული მაღალი, პოეტური ხმა.

...სიზმარივით გაირბინეს ბავშვობის დღეებმა. მოგონებასავით უკან დარჩნენ წისქვით დაფარული მთები, მეფის ჯალა, სოფლელი გოგო-ბიჭები...

ქუთაისი...

მისი სიცოცხლისა და სიყვარულის დასაწყისი...

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდმა უცნაური და ამავე დროს დადებითი ზემოქმედება მოახდინა პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ეს იყო პერიოდი, როცა მეცხრამეტე საუკუნე თავის არსებობას ამთავრებდა, ბრძოლითა და შრომით გათეთრებული დარბაისელი ბერიკაცი თავს დაბლა ხრიდა, რათა ესტაფეტა მომავლისათვის გადაეცა.

...რევოლუციის გარიურაჟი თანასწორობას ჰადაგებდა. წვრილი ბურუჟაზია პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. ვაჭრობის სათავეები ქართველ და ებრაელ კომერსანტთა ხელში იყო. ისტორიის განაჩენი მათ შეგნებამდე ვერ დასულიყო. თავადაზნაურები ჯერ კიდევ მედიდურად ზვერავდნენ ქუთაისის ბულვარს. ძველებური „ხაბარდათი“ მიაქროლებდნენ ეტლებს რაუდენ მიქელთაძე და იაგორა აბზიანიძე რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში...

ბორკილებივით შემოწყობოდა ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკა ქუთაისს.

ამგვარ ატმოსფეროში აღმოჩნდება უცნაურად სოფლელი ბიჭის ალალმართალი სამყარო, რომელსაც ჰყვებიდან მემკვიდრეობად გულწრფელობა და მოყვასისადმი სიყვარული გამოჰყვა. იმდროინდელი ქუთაისის პატიოსნების მაღალ სავარძელში ამაყად ფეხმორთხმული განისვენებდა გაიძვერა და მექრთამე...

სიყვარულითა და სათნოებით გაცისკროვნებული მოზარდის ამაყი სული, ცხადია, ვერ შეეგუებოდა მაშინდელი ქუთაისის ერთობ დახუთულ ვითარებას და ვერ გამოძებნიდა მასთან საერთო ენას.

დასრულდა ბავშვობა.

„გაფრინდა ბავშვობის დღეები,
მინდვრები, ჭალები, ტყეები.
უეცრად მოვდა შავებით
სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან.
მწუხარე ფერხულში ჩავებით
და თვალი ცრემლებმა დაბინდა.
ბალახი, მდინარე, ხეები,
დღეები, ბავშვობის, დღეები...“

...1911 წლის მაისი ილეოდა. პოეტმა სასამართლოს მახლობლად, ებრაელების უბნის დასაწყისში მდებარე ორსართულიან სახლში დაიქირავა ერთფანჯრიანი ვიწრო ოთახი. მთელი დღე გადააყოლა მის დალაგებას. მეორე დილით ქალაქის მმართველობაში გამოცხადდა და მასწავლებლის ადგილი ითხოვა. კანცელარიის მდივანმა ალმაცერად ჩაათვალიერა მოსული და ჩაიქირქილა.

— ვინც აქ მოდის, ყველა მასწავლებლის ადგილს ითხოვს, ჩემო ბატონო. ამდენი ბავშვიც არ არის სწავლის მსურველი...

ყოველი შემთხვევისათვის მისამართი ჩაწერინა მდივანს და გულდაწყვეტილი გამობრუნდა უკან. გარეთ ცოდა და სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. თხელი, ყელთან შეკრული იმერული პერანგის საყელო აიწია; ამანაც ვერ უშველა... არ უნდოდა მობუზულს გაევლო ბაღის კიდეზე. მხრები ამაყად გაშალა და ისე ჩაუარა ჯგუფ-ჯგუფად შეყრილ უმწვრილებს... თვალწინ დედის შეწუხებული სახე დაუდგა. შვილის უმუშევრობას ვერ იტანდა მრავალჭირნახული ქალი. ლექსების წერას კი საქმეს არ ეძახდა იგი... რა იცოდა დედამ და კანცელარიის ბოროტად მოქირქილე მდივანმაც...

1905 წლის რევოლუციამ კრახი განიცადა, რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა.

„დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.
სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ გაწევას,
იმ პირველ მაისებს!“

იწყება ძიებისა და შემოქმედების რთული, დაძაბული წლები. გალაკტიონი დაეძებს იდეალს, რომელსაც ცხოვრების სიტკბოება მსხვერპლად უნდა შესწიროს. ახალგაზრდული ენერგიით აღჭურვილი - ბობოქარი სული, დიდი ემოციურობითა და განცდებით პოულობს იდეალის სრულყოფილ სახეს და თუმცა მოგვიანებით წერს ქვეცნობიერულ სტრიქონებს, მაინც მაშინდელი დაღი ატყვიათ მათ.

„ჩვენ ხომ იმისთვის გავჩენილვართ,
და ის გვაქვს მიზნად,
მივცეთ სიცოცხლე თუ გაქრება
დღე შამიანი —
შეუზღუდველად არსებობდეს
ამ სოფელ ქვეყნად
თავისუფალი და ძლიერი
ადამიანი“.

„...იცი, საყვარელო სოსო, — სწერდა გალაკტიონი იოსებ გრიშაშვილს, — ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი ხენი მეპარება, საშინელი ხენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და ვით სიკვდილით დასასჯელი სახრჩობელის წინ თვალით ვეძებ მონათესავე სულს...

აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას, ჩემს არარაობას...“

აღსანიშნავია საყურადღებო ფაქტორი — იმ ხანებში გალაკტიონი თვითონ ვერ გარკვეულიყო, რა თვალსაზრისით მისდგომოდა ცხოვრებას და ამიტომ არ გააჩნდა იდეურად მთლიანი, თანმიმდევრული პოზიცია — სასოწარკვეთილებისა და განწირულების მოტივებთან ერთად, ბრძოლისაკენაც მოგვიწოდებს იგი. შავბნელი ძალების გამარჯვებამ მის პოეზიას, მართალია, გარკვეული საყრდენი გამოაცალა, სამაგიეროდ მას დარჩა აზრი — გამბედავი და შეურყეველი, დარჩა სიტყვა, რომელსაც ახალი უღერადობა და ძლიერი აღმაფრენა შთაბერა.

შეეძლო თუ არა გალაკტიონს ნაცვლად ლექსებისა — „მესაფლავე“, „მე და ღამე“, „ლურჯა ცხენები“ — შეექმნა სულ სხვაგვარი ტიპისა და ღერადობის პოეტური ქმნილებები? და თუ შეეძლო, როგორი იქნებოდა მაშინ ხალხის რეაქცია მისი შემოქმედებისადმი? — მართლაცდა, როგორ შეხვდებოდა მის საყვარელ ქალაქში, ქუთაისში 1914 წელს გამოცემულ პირველ წიგნს მშობელი ერი, თუ დასახელებულ ნაწარმოებთა ნაცვლად იქ სულ სხვაგვარ აზროვნულ ნაკადს ვიხილავდით? ორგვარი აზრი აქ შეუძლებელია — გალაკტიონის ეს პირველი ნაბიჯი შეუმჩნეველი დარჩებოდა და იგი აღარ იქნებოდა ხელიხელსაგოგმანები. მაინც, რა იზიდავდათ ამ ლექსებში გალაკტიონის თანამედროვეებს, რომელთაც წიგნის გამოსვლისთანავე აღიარეს იგი? მწუხარება, სულიერი ტანჯვა და არარეალური სამყაროს წარმოდგენა იყო მათი აღფრთოვანების მიზეზი? რასაკვირველია, არა. უპირველეს ყოვლისა, მიზეზი ამისა უნდა ვეძებოთ პოეტის ხალხურობაში. ქართულ მიწაში ღრმად ფესვებგადგმულს, დიდი უნარი ჰქონდა მათი გულისნადებისა და ფიქრების აღებისა და მისი მისწრაფებაც ხომ სწორედ ის იყო, რომ ძლიერი დინამიკურობით წარმოთქმული სიტყვით და „ჩქარი გრგვინვა-გრიალით“ ოცნებათა უბეში მიეყუდა ისინი.

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო
მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით
შენახვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც
ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან
ლურჯა ცხენები!“

გალაკტიონ ტაბიძე მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქით უზადოდ ასურათებს რეაქციის შემდეგდროინდელ სინამდვილეს, ამავე დროს ცდილობს გაუსხლტეს მას.

„სული ეძებს ქარიშხალს
და ბობოქარ ტალღებს“.

. . . . . .

„შენს მოლოდინში გულს ნუ მიდაგავ,
დაჭკარ, დაჭუხე, ახალო ტალღავ!“

რა შეეძრება დაძაბულობით წარმოთქმული სიტყვების ამ დიდებულ ელვარებას, როგორ არ აგანთებს მიწიერი სულის ეს ბრწყინვალე დღესასწაული!

...ივნისის შუა რიცხვები იდგა. გიორგი ჭუჩიშვილისა და ია ეკალაძის მეობებით გაიმართა გალაკტიონისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. ლიტერატურული ქუთაისი შემოქმედის სიხარულსა და გამარჯვებას ზეიმობდა. საღამოხანს ტევა არ იყო თეატრის შესასვლელთან. საზაფხულო ვარდებით აევსოთ დარბაზი. პრეზიდიუმში აკაკი ბრძანდებოდა. ჭაღარა წვერ-ულვაში ვერცხლისფრად უბზინავდა. მომავალი თაობის ჭეშმარიტი სიტყვის ძლიერებას აღტაცებული ეგებებოდა მხცოვანი მგოსანი.

საღამო დაიწყო. მომხსენებელს მომხსენებელი ცვლიდა. გიორგი ჭუჩიშვილი ია ეკალაძემ შეცვალა.

ᲡᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ!

...ოვაციები ანანზარებდნენ დარბაზს, თრთოდნენ ვარდები — უამრავნი და ულამაზესნი: ისეთები, მხოლოდ ქუთაისში რომ უყვავიან ხოლმე.

ლექსის წაკითხვა სთხოვეს გალაკტიონს. წელა წამოდგა. ვარდები ფრთხილად გადადო გვერდზე აღტაცებისაგან გაფითრებულმა. მისი მთრთოლვარე, მაგრამ ერთობ მომჯადოებელი ხმა კოცონივით გადაეწოო დარბაზს.

„ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს — ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია!“
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვილაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს „ამირანია!“

პოეტის ბოლო სტატუები ბეთჰოვენის სიმფონიაში ჩაიძირა...

ორმაგი გამოდგა იმ დღის სიხარული. მოსალოცად მოსულმა ტიციანის ძმამ, სიმონმა დედის ჩამრხვლა ამცნო იუბილარს...

...1914 წელი და... პოეტმა განაჩენი გამოუტანა ღამის იდუმალებას.

„განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ, ფერი ვიცვალე...
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!“

როცა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ იქუხა, გალაკტიონი ქუთაისში იმყოფებოდა. რით გამოხატა მან თავისი აღფრთოვანება? — ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის განსაცვიფრებელი დინამიკურობით წარმოთქმული სტატუები, რომელიც დღეს ყველა ჩვენგანისთვის მშობლიურად ახლობელია და რომლითაც გალაკტიონი გამოეხმაურა თვითმპყრობელობის დამხობას:

„გათენდა, ცეცხლის მზე ჯენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო
ანკარა...
დროშები ჩქარა!
. . . . . .
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს
იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის
რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით,
შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!“

ეს მოწოდება წმინდა გალაკტიონისეულია — თავისუფლებისმოყვარე კაცის ოცნებითა და აზრით არის გამთბარი და გაშუქებული. სხვაგვარი გამოხმაურება ახალი დღის დაბადებისადმი მას არ შეეძლო, ის ვალდებულად რაცხდა თავს მისალმებოდა ამ დიდებულ დღეს და თქვა ის, რასაც გრძნობდა და განიცდიდა.

ოქტომბრის რევოლუციამ პეტროგრადში მოუსწრო პოეტს. რევოლუციის პირველ დღეებშივე ბრუნდება იგი საქართველოში, რათა სამშობლოში განახლებული სიმღერა ააგუგუნოს:

„რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ჩვეყნის გადარჩენისა!“

...და დაიწყო გალაკტიონი, ახალი, რევოლუციური გალაკტიონი!

ᲒᲘᲕᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ





სურათებზე: გალაკტიონი და კონსტანტინე ბალმონტი ქუთაისში ისიდორე კვიცარიძის წიგნის ბაღაზიაში 1914 წელს (ქვეყნდება პირველად); ბაგრატის ტაძარი. აქ უყვარდა გალაკტიონს ყოფნა...

ᲛᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲔ

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება.
მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.
ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნობით, ვით რითმებით ეს ფერილი.
საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.
დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.
ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,
საიდუმლოს ვერ მოიტაცებს ქალის ხვეწნა და ალერსი;
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა და ვერც თასი დვინით სავსე,
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის — რომორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე. მე და ღამე!

ᲚᲣᲠᲯᲐ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘ

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც გედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შეება-სიზმარია!
ახლა კი სამარეა შენი განსასვენები!
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს
სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების შებეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მწარალ რიცხვების ამარა შდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც გედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!

ᲥᲐᲠᲘ ᲰᲥᲠᲘᲡ...

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ჰხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გაგოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

Выставка одной картины...





Выставка открылась в Третьяковской галерее. Ее посетили тысячи людей. Они подолгу стояли перед картиной, вглядывались в ее детали, читали книгу отзывов. Многие возвращались сюда снова и снова. Картина Ильи Глазунова «Вечный город» вызвала самые разные суждения. Одни называли ее гениальной, другие — надуманной, третьи — просто плохой. Но равнодушных не было.

Почему же произведение, которое, казалось бы, должно было вызвать споры лишь среди специалистов, взволновало столь широкий круг зрителей? Ведь не каждый из них может похвастать знанием живописи, истории искусства, философии. Почему же картина, которая, казалось бы, должна быть понятна лишь немногим, стала предметом горячих споров, обсуждений, размышлений?

Ответ на эти вопросы, по-видимому, надо искать в самой картине. Ее автор — художник, который не может, не имеет права быть равнодушным к тому, что происходит вокруг. Он не может не выразить свое отношение к тому, что его волнует, тревожит, заставляет думать. Он не может не говорить о том, что, по его мнению, должно быть сказано.

Художник Илья Глазунов — человек, который не может молчать.

Он не может молчать, когда видит, как на его глазах уничтожаются памятники старины, как безжалостно ломаются старые дома, как на месте старых, уютных, обжитых кварталов вырастают безликие, однообразные коробки

...ბიჭის ფრჩხილებიც ჭარბი



ნოემბრის ბოლოს ვიყავით ჩვენ ბიჭებთან ერთად ტყეში. ნაძვის ნორჩ ნარგაობაში ვეძებდით ხეებს, რომლებიც ახალ წელს სკოლაში უნდა მოვიტანოთ. ბიჭებს ეს ძალიან ეამებოდათ. ისინი ხან ერთ ხეს მოიტანდნენ, ხან მეორეს, ხან მესამეს, ბოლოს კი ისე გაერთნენ, რომ ხეების ძებნა დაავიწყდათ და ტყეში ერთმანეთს დაედევნენ.

ამ დროს ერთ-ერთმა ბიჭმა ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— ეჰ, ბიჭი ვარ და ბიჭი! ამ ფრჩხილებით ქალი ხომ არ გამოვალ!

ეს სიტყვები ისე მწარედ ჟღერდა, რომ ბიჭებმა ერთმანეთს გაოცებით შეხედეს. ეს ბიჭი ჩვენ ახლა ვერ ვიცნობდით. ის ისეთი ფერმკრთალი იყო, ისეთი ნაღვლიანი, რომ ჩვენ ვერ გავბედეთ ვკითხვოდით, რა დაემართა.

ბიჭებმა ნაძვის ნორჩ ხეებს ზურგი შეაქციეს და ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ტყის ბილიკს. ისინი ჩუმად იყვნენ, ერთმანეთს არ უყურებდნენ, ალბათ, ერთმანეთის მეგობრებიც არ იყვნენ. ბოლოს ერთ-ერთმა ბიჭმა ხმამაღლა ამოიოხრა

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՊԱՇՏՊԱՆՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՏԵՂԵԿԱՏՎԱԿԱՆ ԾԱՌԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ՎԱՐՉԱԿԱՆ ՀԱՄԱԿԱՐԳԻ ՀԱՐՑԵՐ ԵՎ ՊԱՏԱՍԽԱՆՆԵՐ

ՀԱՐՑ՝ Ինչպե՞ս է գործում վարչական համակարգը, ինչպե՞ս կարելի է ճիշտ դիմել համապատասխան մարմնին, ինչպե՞ս ստանալ անհրաժեշտ տեղեկատվություն։

ՊԱՏԱՍԽԱՆ՝ Ինչպե՞ս կազմել դիմում, բողոք, առաջարկություն, ինչպե՞ս ներկայացնել այն, ինչպե՞ս հետևել գործի ընթացքին։

ՀԱՄԱԿԱՐԳ՝ Ինչպե՞ս է աշխատում վարչական համակարգը, ինչպե՞ս են կազմակերպված տարբեր մարմինները, ինչպե՞ս է կատարվում հանրային ծառայությունների մատուցումը։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՊԱՇՏՊԱՆՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՏԵՂԵԿԱՏՎԱԿԱՆ ԾԱՌԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ք. Երևան, Կառավարական տուն 3, հեռ. 010 59-00-00, 060 59-00-00

Ինչպե՞ս ճիշտ դիմել վարչական մարմին

Ինչպե՞ս կազմել դիմում, բողոք, առաջարկություն

Հայաստանի Հանրապետության վարչական դատավարության օրենսգիրքը ուժի մեջ է մտել 2019 թվականի հունվարի 1-ին։ Այն նախատեսում է քաղաքացիների և կազմակերպությունների իրավունքները վարչական մարմինների հետ հարաբերություններում։ Ստորև ներկայացնում ենք հիմնական դրույթները, որոնք կարող են օգտակար լինել ձեզ համար։

Ո՞ր դեպքերում կարելի է դիմել դատարան

Դատարան կարելի է դիմել, եթե վարչական մարմինը՝

- մերժել է ձեր դիմումը կամ չի պատասխանել դրան օրենքով սահմանված ժամկետում,
- չի կատարել իր պարտականությունը, որը պետք է կատարեր ձեր օգտին,
- ձեզ վնաս է պատճառել իր անգործությամբ կամ ոչ պատշաճ գործելով,
- ձեզ պարտադրել է կատարել մի գործողություն, որը ձեզ համար անընդունելի է։

Դատարան կարելի է դիմել նաև այն դեպքում, երբ վարչական մարմինը ձեզ չի տրամադրել պաշտոնական տեղեկություն, որը ձեզ անհրաժեշտ է։

Ինչպե՞ս կազմել դիմում

Դիմումը պետք է պարունակի հետևյալ տեղեկությունները՝

1. Ո՞ր դատարանին է ուղղված դիմումը։
2. Ձեր անունը, ազգանունը, հասցեն և հեռախոսահամարը։
3. Ո՞ր վարչական մարմնի դեմ եք դիմում։
4. Ի՞նչ եք պահանջում դատարանից։
5. Ի՞նչ հանգամանքներով եք պատճառաբանում ձեր պահանջը։
6. Ի՞նչ ապացույցներ ունեք ձեր պնդումները հաստատելու համար։

Դիմումին պետք է կցել նաև պետական տուրքի վճարումը հավաստող փաստաթուղթը։

Ինչպե՞ս վճարել պետական տուրքը

Պետական տուրքի չափը կախված է դիմումի տեսակից։ Ֆիզիկական անձանց համար այն սովորաբար կազմում է 10 000 դրամ, իսկ իրավաբանական անձանց համար՝ 50 000 դրամ։ Տուրքը կարելի է վճարել բանկային փոխանցմամբ կամ էլեկտրոնային վճարային համակարգերի միջոցով։

Ինչպե՞ս հետևել գործի ընթացքին

Դատարանը ձեր դիմումը ստանալուց հետո 3 աշխատանքային օրվա ընթացքում ձեզ ուղարկում է ծանուցագիր՝ նշելով գործի համարը և դատական նիստի ամսաթիվը։ Գործի ընթացքին կարելի է հետևել նաև դատարանի էլեկտրոնային համակարգի միջոցով։

Ինչպե՞ս ներկայացնել ապացույցներ

Ապացույցներ կարող են լինել գրավոր փաստաթղթերը, լուսանկարները, տեսանյութերը, վկաների ցուցմունքները և այլ նյութեր։ Դատարանը կարող է նաև ինքնուրույն պահանջել անհրաժեշտ ապացույցներ։

Ինչպե՞ս ներկայանալ դատական նիստին

Դատական նիստին կարող եք ներկայանալ անձամբ կամ ներկայացուցչի միջոցով։ Ներկայացուցիչը պետք է ունենա լիազորագիր, որը ձեր կողմից ստորագրված է և նոտարական կարգով վավերացված։

Եթե դուք չեք կարող ներկայանալ նիստին, ապա պետք է նախապես տեղեկացնեք դատարանին՝ նշելով պատճառները։ Դատարանը կարող է հետաձգել նիստը, եթե հարգելի է համարում ձեր բացակայության պատճառները։

Ինչպե՞ս ներկայացնել բողոք

Բողոքը պետք է ներկայացնել գրավոր՝ անձամբ կամ փոստով։ Բողոքը պետք է ներկայացնել դատարանի նախագահին։ Բողոքի ներկայացման համար պետական տուրքի չափը 50 000 դրամ է։

Ինչպե՞ս ստանալ անհրաժեշտ տեղեկատվություն

Դատարանի գործերի վերաբերյալ տեղեկատվությունը հասանելի է դատարանի էլեկտրոնային համակարգում։ Ձեզ անհրաժեշտ տեղեկատվությունը կարող եք ստանալ նաև դատարանի տեղեկատվական կենտրոնից։

Ինչպե՞ս ստանալ դատական ակտի պատճենը

Դատական ակտի պատճենը կարող եք ստանալ դատարանի էլեկտրոնային համակարգի միջոցով կամ դիմելով դատարանի տեղեկատվական կենտրոն։ Պատճենի համար վճարվում է պետական տուրք՝ 5 000 դրամ։

Ինչպե՞ս բողոքարկել դատական ակտը

Դատական ակտը կարող եք բողոքարկել վերաքննիչ դատարան՝ ակտի պատճենը ստանալուց հետո 30 օրվա ընթացքում։ Բողոքարկման համար պետական տուրքի չափը 100 000 դրամ է։

Ինչպե՞ս կատարել դատական ակտը

Դատական ակտը կատարելու համար դիմեք դատական ակտերի հարկադիր կատարման ծառայություն։ Ակտը կարող է կատարվել նաև էլեկտրոնային համակարգի միջոցով։

Ինչպե՞ս դիմել Վճռաբեկ դատարան

Վճռաբեկ դատարան կարելի է դիմել, եթե գործը քննվել է վերաքննիչ դատարանում և դուք ունեք հիմնավոր պատճառներ կարծելու, որ դատական ակտում խախտվել է նյութական կամ դատավարական իրավունքի նորմերի կիրառումը։ Վճռաբեկ բողոքի համար պետական տուրքի չափը 200 000 դրամ է։

Ինչպե՞ս դիմել Սահմանադրական դատարան

Սահմանադրական դատարան կարելի է դիմել, եթե կասկածում եք, որ ձեզ կիրառելի օրենքը հակասում է Սահմանադրությանը։ Դիմումը պետք է ներկայացնել գրավոր՝ անձամբ կամ փոստով։ Դիմումի համար պետական տուրքի չափը 100 000 դրամ է։

Ինչպե՞ս դիմել Մարդու իրավունքների եվրոպական դատարան

Մարդու իրավունքների եվրոպական դատարան կարելի է դիմել, եթե ձեր իրավունքները խախտվել են Մարդու իրավունքների եվրոպական կոնվենցիայով նախատեսված որևէ իրավունքի խախտմամբ։ Դիմումը պետք է ներկայացնել գրավոր՝ անձամբ կամ փոստով։ Դիմումի համար պետական տուրքի չափը 100 000 դրամ է։

Ինչպե՞ս դիմել Միջազգային քրեական դատարան

Միջազգային քրեական դատարան կարելի է դիմել, եթե ձեր իրավունքները խախտվել են Միջազգային քրեական դատարանի Հռոմեական կանոնադրությամբ նախատեսված որևէ հանցագործության արդյունքում։ Դիմումը պետք է ներկայացնել գրավոր՝ անձամբ կամ փոստով։ Դիմումի համար պետական տուրքի չափը 100 000 դրամ է։

Ինչպե՞ս դիմել Միջազգային դատարան

Միջազգային դատարան կարելի է դիմել, եթե ձեր իրավունքները խախտվել են միջազգային պայմանագրեր